შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N3/3505/59-1

2015 წლის 18 სექტემბრის N3/3505/59 ხელშეკრულების ცვლილების შესახებ

თბილისი

31 10 2015 წ.

ერთი მხრივ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო(შემდგომში „შემსყიდველი"), მინისტრის მოადგილის ვალერი კვარაცხელიას სახით, და მეორე მხრივ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შემდგომში „მიმწოდებელი", მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ჩომახიძის სახით, ვთანხმდებით შემდეგზე:
შეთანხმების საგანს წარმოადგენს, მხარეთა შორის 2015 წლის 18 სექტემბრის N3/3505/59 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, ამავე ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1 და 10.2 პუნქტების საფუძველზე, კერძოდ:

1. შეიცვალოს ხელშეკრულების დანართი N1-ის მე-6-ე მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. ინტერვიუერები:
6.1. გიორგი ჭუმბურიძე - თსუ ფსიქოლოგიის მაგისტრი;
6.2. შორენა ხუციშვილი - თსუ ფსიქოლოგიის მაგისტრი, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით;
6.3.მაია ჯინჭარაძე - თსუ, ფსიქოლოგიის მაგისტრი, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით;
6.4. ეკა მღებრიშვილი- ფსიქოლოგიის მაგისტრი, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით;
6.5. ნინო მექვევრიშვილი - თსუ სოციალური მუშაობის მაგისტრი;
6.6 ნიკა კობახიძე - თსუ ფსიქოლოგიის მაგისტრი. "

2. შეიცვალოს ხელშეკრულების დანართი N1-ის მე-7-ე მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7. შემთხვევის შესწავლა:
7.1. ნაზი ფარსადანაშვილი - თსუ ფსიქოლოგიის მაგისტრი, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით;
7.2. თინათინ ტყეშელაშვილი, ფსიქოლოგის დიპლომი (ხუთლიანი სწავლის დიპლომი, გათანაბრებული მაგისტრის სარისხთან). "

3. ხელშეკრულების დანარჩენი პირობები, რომელსაც შეთანხმება არ შეხებია, უცვლელი რჩება.
4. შეთანხმება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა. შეთანხმების ერთი ეგზემპლარი ინახება - ,,მიმწოდებელთან", ხოლო ორი - ,,შემსყიდველთან".
5. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს 2015 წლის 18 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N3/3504/59 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

,, შემსყიდველი"

საქართველოსშრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო

ვალერი კვარაცხელია
მინისტრის მოადგილე

,,მიმწოდებელი"

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავით ჩომახიძე
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი
ი. ქიტიაშვილი
ე. ჯგერენაია
ი. აბრამიშვილი
გ. გამყრელიძე